მემორანდუმი

ერთობლივი საქმიანობის შესახებ

ქ. თბილისი 21 მაისი 2019 წ.

ერთი მხრივ შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი", მდებარე ქ.თბილისში ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.#31, **წარმოდგენილი რექტორის ვალენტინა საყვარელიძეს**- სახით და მეორე მხრივ, აიპ „კონსალტინგისა და ახალი პროფესიების რეგიონალური ცენტრი“ მდებარე ქ.გორში ერ. ხოშტარიას ქ. #25 წარმოდგენილი **ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირის თამარ ქობლიანიძის** - სახით (შემდგომში მხარეები), ისწრაფვიან რა, საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო-კვლევით თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას და რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო და არაფორმალური განათლების, ეკონომიური და სოციალური აღმავლობის სფეროში სამეცნიერო პოტენციალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთობლივად და სრულად გამოყენების შესაძლებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

I. მემორანდუმის მიზანი

1.1 რეგიონების მდგრადი და ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობაში მონაწილეობა,

1.2 ერთობლივი კონსალტინგური, საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

1.3 რეგიონების პოპულარიზაციაში, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში ურთიერთთანამშრომლობა, ერთობლივი პროექტების განხორციელებაში, ტრენინგების, სემინარების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდების ორგანიზებასა და ჩატარებაში ხელშეწყობა და კულტურული /აგრო /ღვინის ტურიზმის ფართო მასებში გავრცელება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე

1.4 სასწავლო /.პროფესიული პრაქტიკის განხორციელებაში ურთიერთთანამშრომლობა

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. მხარეები პროექტების, კონფერენციების, მრგვალი მაგიდებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებისა და განხორციელების შესახებ ერთმანეთთან წინასწარ ცვლიან ინფორმაციას და დამატებით თანხმდებიან ურთიერთანამშრომლობის კერძო საკითხებზე

2.2. მხარეები ერთამანეთს უზიარებენ გამოცდილებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, დამატებით თანხმდებიან სამეცნიერო პოტენციალის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთობლივად გამოყენების თაობაზე.

2.3. სასწავლო / პროფესიული პრაქტიკის განხორციელებისას უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესის და მართვის ფაკულტეტის (სპეციალობა "ტურიზმი") სტუდენტები ან ცენტრის მსმენელები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ ცენტრის / უნივერსიტეტის ან/და იმ ორგანიზაციის შინაგანაწესს, სადაც მიმდინარეობს პრაქტიკა.

III. მემორანდუმი მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 4 (ოთხი) წლის განმავლობაში.

3.2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე, რის შესახებაც, არა უგვიანეს ერთი თვით ადრე, უნდა ეცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
3.3. დაუშვებელია მემორანდუმის შეწყვეტა ისეთ დროს და ისეთ გარემოებებში, რაც ზიანს მიაყენებს ერთობლივ საგანმანათლებლო /კონსალტინგურ / კვლევით საქმიანობას.
3.4. მემორანდუმოის ვადის გასვლის შემდეგ, მხარეების სურვილის შემთხვევაში, თანამშრომლობა გაგრძელდება ავტომატურ რეჟიმში რომელიმე მხარის მიერ მემორანდუმის სათანადო წესით შეწყვეტამდე.

IV. შეთანხმების სხვა პირობები

4.1. მხარეთა შორის არსებული მეორანდუმის განმარტების ან გამოყენების წესის შესახებ წარმოქმნილი ნებისმიერი სადაო საკითხი მოგვარდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს საშუალებით.
4.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ინახება მხარეებთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ვადასტურებთ ხელისმოწერით

თბილისის ჰუმანიტარული

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი /ვალენტინა საყვარელიძე/

მისამართი: ქ.თბილისი,

ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.#31

ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი /თამარ ქობლიანიძე/

მისამართი: გორი, ერ-ხოშტარიას ქ#25